განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობების გრანტების მუხლი, ასევე გადასახდელები 268 870 ლარით, კერძოდ: ა) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 ოქტომბერის N1514 განკარგულების (28/12/2023 წლის N2400 განკარგულების) შესაბამისად 290 000 ლარი სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციისათვის, (სოფელ ღარში მდინარე ღარულას კალაპოტის წმენდა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის); ბ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 5 ნოემბრის N1603 განკარგულების (28/12/2023 წლის N2402 განკარგულების) ფარგლებში შემცირებული იქნას 21 130 ლარით ქ. ონში დგვარელის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაობი.

შემცირებული იქნეს ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის ფარგლებში შემდეგი სამუშაოები: გზების კაპიტალური შეკეთება 15 300 ლარით, კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში 2504 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაცია 7 098 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია 90 000 ლარით, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია 9 500 ლარით, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა 49 145 ლარი, წარმატებული სპორტსმენების დაფინანსება 5 000 ლარით, წარმატებული სტუდენტებისათვის მერიის სტიპენდიის გაცემა 5 000 ლარით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარება 20 000 ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 6 073 ლარით, სულ 209 620 ლარი დაიგეგმოს - გაიზარდოს:

ა) მუნიციპალიტეტში ახალი შენობების მშენებლობასთან დაკავშირებით აბონენტად აყვანის ხარჯი (წყალი, წყალარინება, ელექტროენერგია, გაზი) – 18000 ლარით;

ბ) გარე განათების აბონენტად აყვანის ხარჯი – 1 600 ლარით;

გ) მერიის კუთვნილი ავტომანქანის საბურავების შეძენის ხარჯი - 1 500 ლარით;

დ) გაიზარდოს ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტების“ დაფინანსება - 25 000 ლარით;

ე) გზების მიმდენარე მოვლა-შენახვა თოვლის წმენდა – 64 100 ლარით;

ვ) მერიის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს - 7 951 ლარით;

ზ) საინჟინრო საზედამხედველო მომსახურება - 40 000 ლარით;

თ) გაიზარდოს კულტურული ღონისძიებების თანხა ახალი წლის ღონისძიებისათვის - 50 000 ლარით;

ი) ბანერების და სიგელის ბეჭდვა - 1 469 ლარი;

2) გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღებში „ჯვარიგორის“ წყალსადენის სათავეში მიმავალი დაზიანებული გზის რეაბილიტაცია 6 183 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ბარში მცხოვრებ მანანა გიორგობიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან

წყალგაყვანილობის მილის გადატანა 5 940 ლარი; თურქეთში, სტამბოლის კლინიკა „istambul florense nigrtingale hospital" – მოქალაქე ნუცა გაგნიძის მკურნალობისთვის 15 000 ლარი;

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 29 415 817 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი